შენობის განთავსების სქემა



საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 8 23 01225512

01/05/2023

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის
სამსახურის უფროსის მოადგილეს (სანებართვო საკითხებში)
ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2023 წლის 28 აპრილის N60-0123118461 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისში, მირიან მეფის ქუჩა N47-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.10.08.006.128) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის შესახებ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია, რომელშიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 10 აპრილის MIA 8 23 01012149, 2023 წლის 18 აპრილის MIA 1 23 01078078 და 2023 წლის 25 აპრილის MIA 7 23 01155717 წერილების საფუძველზე შეტანილი იქნა ცვლილება-დამატებები, **შეესაბამება** სახან ძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის

უფროსის დროებით შემსრულებელს ბატონ:

პაატა ტოგონიძეს დამოუკიდებელ ექსპერტ:

გიორგი ტივაძის (პ/ნ01021002814)

დიდტანოვანი (D-ი მეტია 25 სმ-ზე) ხეების გადარგვა-გახარების პროექტი

თარიღი: 12.08.2023წ

მისამართი: ქ. თბილისი, მირიან მეფის ქუჩა,#47

საკ./კოდი: 01.10.08.006.128;

დამკვეთი:

შპს „ბინა კო“ ID ნომერი:405213585

ზოგადი ნაწილი

დამოუკიდებელ ექსპერტ : გიორგი ტივაძესა(P/N:01021002814) და შპს „ბინა კო“ ID ნომერი:405213585 შორის 2023 წლის 11 აგვისტოს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ჩემს მიერმომზადებული იქნა 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის (დიდტანივანი ხის)ხე-ნარგავის გადარგვის ინდივიდუალური ტექნიკური დოკუმენტაცია.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილი იქნა ექსპერტ გიორგი ტივაძის მიერ, 26.12.2022წ. ჩატარებული მწვანე ხე-მცენარეების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა. დამკვეთის მოთხოვნით, 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-ნარგავის გადარგვის ინდივიდუალური ტექნიკური დოკუმენტაცია შემუშავებული იქნა 1 დიდტანიან ხეზე. ამ ხეს ექსპერტ გიორგი ტივაძის საექსპერტო დასკვნაში მინიჭებული აქვს შემდეგი ნუმერაცია -ნაკვეთზე საკადასტრო კოდით:01.10.08.006.128 -**N 16თუთა(Morus alba) D=38,0 სმ, H=6.0 მ** და ამ ნუმერაციით ის დატანილია დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ტოპო-გეგმაზე.

აღნიშნული ხე-ნცენარე გადაირგვება დამკვეთის მიერ მითითებულ გათვალისწინებულ ადგილეზე, იმავე საკადასტრო ერთეულში (01.10.08.006.128). აღნიშნული ხე-მცენარე წარმოადგენს დიდ ტანოვან ხეს (D>25სმ- ზე) და მისი გადარგვა და გახარება შესაძლებელია მხოლოდ სპეცტექნიკის გამოყენებით და შესაბამისი აგრონომიული ღონისძიებების გათვალისწინებით. გადარგვა უნდა მოხდეს უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით.

დიდ ტანიანი (D-ი მეტია 25 სმ-ზე) ხეების გადარგვა-გახარების ზოგადი მეთოდოლოგიური აღწერა

ხე-მცენარის ამოღება:

1. დიდი ზომის (D -ი მეტია 25სმ-ზე) ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს განშტოებების გადაბელვა ან მისი გადაბელვა მთლიან ვარჯზე, მის ნაწილზე ძლიერი ტოტების შემოკლება ან მთლიანად მოშორება. გადაბელვის დროს გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ამწე-კალათა.

2. ხის ირგვლივ მიწის მოთხრა და კომის გამოყოფა ნიადაგიდან უნდა მოხდეს სპეცტექნიკის (ექსკავატორი ან სხვ.) საშუალებით. ხის ფიქსირება სპეცტექნიკის მუშაობისას და შემდეგ მისი ამოღება უნდა განხორციელდეს სპეციალური ამწე მოწყობილობებით, რადგან კომი დაცული იქნას მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისაგან, ჩაბმის ადგილზე ხეს უნდა შემოეხვიოს სქლად ჯვალოს ტილო.

3. ამოღებული ხის კომის ზომა უნდა განისაზღვროს ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ

10-მაგი ოდენობის, ხოლო სიღრმე არანაკლებ 1 -1,7 მ. - ის.

4. ხემცენარის გადარგვამდე უნდა მოხდეს მისი კომის ფიქსირება იმ საშუალებებით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ხემცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში;

5. ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე; ღია ფესვთა სისტემა დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს ჯვალოს მატერიით, ან სპეციალური ბადით; მიწის გუნდას გარეთ გამოსული ფესვები საჭიროების შემთხვევაში უნდა შეიკვეცოს.

6. ამოღებული ხის ტრანსპორტირების შემთხვევაში ჯვალოში ან ბადეში შეფუთულ კომს უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩოები, ასაწყობი ყუთები, მავთულბადე, მეტალის სხვადასხვა კონსტრუქციები, სპეციალური დასაშლელი ვაზონები, ჭილობი, ბრეზენტი და ა.შ.);

7. მიწის კომის შეფუთვის შემდეგ ხის ღეროზე აკეთებენ სპეციალურ შალითას, რომელიც დამზადებული შეიძლება იყოს ქეჩის, ბრეზენტის ან ტყავისაგან. ასეთი შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამის დაცვა შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისაგან;

ხე-მცენარის გადარგვა:

1. გადასარგავ ადგილზე წინასწარ უნდა იქნას ამოღებული ორმო;

2. სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 - 0,9 მ. - ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2-0,25 მ.-ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;

3. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწეს (სპეცტექნიკის) გამოყენებით, ისე რომ ხის კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან;

4. ნარგავი უნდა დაირგოს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველთან მინიმუმ 3 მ დაშორებით.

5. ამოღებულ ორმოს ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და ნიადაგის პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდების და ფუნგიციდების გამოყენებით. რათა თავიდან იქნას აცილებული რიგი დაზიანებები და დაავადებები, რომელსაც მცენარე იღებს მხოლოდ ნიადაგიდან:

6. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით; თითოეულ ორმოში წინასწარ უნდა იქნეს შეტანილი 15-20 კგ. ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელიანი, ტორფდოლომიტიანი და სხვა).

7. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;

8. ჩაირგოს ორმოში ისე, რომ ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან 7-10 სმ-ის ზევით უნდა დარჩეს და აიკრას საყრდენზე (ჭიგო, სარი, ხარდანი,) ან გამაგრდეს თოკებით 3 მხრიდან.

10. ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;

11. ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის

გათვალისწინებით;

12. წიწვოვანი ხეების გადარგვისას გასათვალისწინებელია ტოტების განლაგება მოხდეს ისე, როგორც იყო გადარგვამდე (ჩრდილოეთის მხარეს მდებარე ტოტები ისევ ჩრდილოეთით უნდა განლაგდეს).

13. ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;

14. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე. ხე-მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა:

1. ხის მოვლა უნდა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;

2. გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

3. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ უნდა განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა- გაფხვიერება-განახლება;

4. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერთიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;

5. მორწყვა უნდა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;

6. დამატებითი მორწყვა უნდა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;

7. განსაკუთრებით ინტენსიური რწყვაა სჭირო მცენარეებზე ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. ამიტომ ინტენსიური მორწყვა უნდა დაიწყოს მაისის თვიდან. თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს.

8. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;

9. ხის დარგვისთანავე მცენარეებზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ - დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;

10. პერიოდულად ჩატარდეს ვარჯის სხვლა-ფორმირების სამუშაოები. მოვლა-პატრონობის სამუშაოები უნდა ჩატარდეს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში.

დიდტანიანი (D-ი მეტია 25 სმ-ზე) ხის გადარგვა-გახარების ინდივიდუალური ტექნიკური დოკუმენტაცია

N 16თუთა(Morus alba) D=38,0 სმ, H=6.0 მ

N 16 ფოთლოვანი თუთის ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს განშტოებების გადაბელვა ან მისი გადაბელვა მთლიან ვარჯზე, მის ნაწილზე ძლიერი ტოტების შემოკლება ან მთლიანად. გადარგვა უნდა მოხდეს ნიადაგის გუნდით (კომი), რომლის დიამეტრი იქნება ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ 10-მაგი ოდენობის , სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10 - 15 სმ. სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0,2 - 0,25 მ. სისქის ნაყოფიერი ნიადაგის და 15-20 კგ. ორგანული სასუქის შეტანა; ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღეროდა ვარჯი; ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით; ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი,დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

გადარგვისას გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი სახის ტექნიკა: ექსკავატორი, სპეციალური ამწე კალათა, ამწე კრანი, სატვირთო ავტომობილი.

ექსპერტი:

გიორგი ტივაძე.


16

მიწისქვეშა სართული (ავტოსადგომი)

საპროექტო ტერიტორიაზე ხდება ხე ნარგავების სრული მოჭრა და ახალი ხე ნარგავების დარგვა რასაც დენდროლოგიურ პროექტში წარმოვადგენთ პროექტის შეთანხმების სტადიაზე



ი/მ "გიორგი ჭივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი **26 დეკემბერი 2022 წ.**

მისამართი:

ქალქი თბილისი, მირიან მეფის ქუჩა,N47

საკ.კოდი:

01.10.08.006.128

ფართობი:

640.00 კვ.მ;

მესაკუთრე:

შპს „ბინა კო“ ID ნომერი:405213585

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი:

საკვლევი ობიექტის რელიეფი ვაკეა. აღწერა -შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები.

ცხრილი№1

№	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (ფს.ყ. 10სმ-ზე)	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	მარადმწვანე ფშატი-Eleagnus	ბუჩქი	1-2სმ.	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა-გახარებას.
2	ბროწეული-Punica granatum	ხე	5სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
3	კაკალი-Juglans regia	ხე	2სმ	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა-გახარებას.
4	ლეღვი-Ficus carica	ხე	20სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
5	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	3სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
6	ჭერამი-Prunus armeniaca	ხე	20სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
7	ქლიავი-Prunus domestica	ხე	7სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
8	ქლიავი-Prunus domestica	ხე	8სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
9	ქლიავი-Prunus domestica	ხე	10სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
10	ქლიავი-Prunus domestica	ხე	2სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
11	ქლიავი-Prunus domestica	ხე	2სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.

12	კაკალი-Juglans regia	ხე	11სმ.	ჯანასღი	ექვემდებარება გადარგვა-გახარებას.
13	ალუბალი-Prunus cerasus	ხე	12სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
14	ალუბალი-Prunus cerasus	ხე	9სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
15	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	19სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
16	თუთა-Morus	ხე	38სმ.	ჯანსაღი	გადარგვა-გახარება სპეც ტექნიკით.
17	თუთა-Morus	ხე	16სმ.	ჯანსაღი	გადაბელილი, ექვემდებარება გადარგვა-გახარებას.
18	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	23სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
19	ქლიავი-Prunus domestica	ხე	7სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
20	ჭერამი-Prunus armeniaca	ხე	13სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
21	კომში-Cydonia	ხე	6სმ.	ჯანსაღი	მრავალღეროიანი, ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
22	ქლიავი-Prunus domestica	ხე	6სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
23	კომში-Cydonia	ხე	12სმ.	ჯანსაღი	მრავალღეროიანი, ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.

24	ქლიავი-Prunus domestica	ხე	6სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
25	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	2სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
26	კომში-Cydonia	ხე	8სმ.	ჯანსაღი	მრავალღეროიანი, ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
27	ქლიავი-Prunus domestica	ხე	10სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
28	ქლიავი-Prunus domestica	ხე	6სმ.	ჯანსაღი	ორკაპი, ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
29	ქლიავი-Prunus domestica	ხე	8სმ.	ჯანსაღი	ორკაპი ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
30	ქლიავი-Prunus domestica	ხე	1სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
31	ქლიავი-Prunus domestica	ხე	2სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
32	ქლიავი-Prunus domestica	ხე	1სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
33	ალუბალი-Prunus cerasus	ხე	3სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
34	ალუბალი-Prunus cerasus	ხე	1სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
35	ალუბალი-Prunus cerasus	ხე	2სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.

36	ალუბალი-Prunus cerasus	ხე	2სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
37	ალუბალი-Prunus cerasus	ხე	2სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
38	ქლიავი-Prunus domestica	ხე	2სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
39	ალუბალი-Prunus cerasus	ხე	5სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
40	ალუბალი-Prunus cerasus	ხე	4სმ.	ჯანსაღი	ორკაპი, ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
41	ალუბალი-Prunus cerasus	ხე	3სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
42	ალუბალი-Prunus cerasus	ხე	2სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
43	ალუბალი-Prunus cerasus	ხე	1სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
44	თუთა-Morus	ხე	4სმ.	ჯანსაღი	ორკაპი, ექვემდებარება გადარგვა-გახარებას.
45	თუთა-Morus	ხე	22სმ.	ჯანსაღი	გადაბელილი, ექვემდებარება გადარგვა-გახარებას.
46	ლეღვი-Ficus carica	კუნძი	14სმ.	ზეხმელი	
47	ჭერამი-Prunus armeniaca	ხე	37სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
48	ვაზი-Vitis	მხვიარა	12სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.

49	ჭერამი-Prunus armeniaca	ხე	35სმ.	ხმობადი	ცენტრალური ღერო გადატეხილია დაახლოებით 2 მეტრზე. ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
50	ლეღვი-Ficus carica	ხე	8სმ.	ჯანსაღი	მრავალღეროიანი, ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
51	იფანი- Fraxinus	ხე	32სმ.	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა-გახარებას სპეც ტექნიკით.
52	იუკა-Yucca	ბუჩქი	3სმ.	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა-გახარებას.
53	კვიდო-Lugustrum	ბუჩქი	1სმ.	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა-გახარებას.
54	იუკა-Yucca	ბუჩქი	3სმ.	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა-გახარებას.
55	ამერიკული ნეკერჩხალი-Acer negundo	ხე	7სმ.	ჯანსაღი	სამკაპი, ექვემდებარება გადარგვა-გახარებას.
56	ვარდი-Rosa	ბუჩქი	1სმ.	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა-გახარებას.
57	ტყემალი-Prúnus cerasiféra	ხე	4სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
58	ქლიავი-Prunus domestica	ხე	14სმ.	ჯანსაღი	გადაბელილი, ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.

59	ალუბალი-Prunus cerasus	ხე	8სმ.	ჯანსაღი	ხილ-კენკროვანი, ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას.
60	იფანი- Fraxinus	ხე	12სმ.	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვა-გახარებას.

ტერიტორიაზე არსებული ხე–მცენარეების საერთო რაოდენობა :60

1. ხილ-კენკროვანი ხე-მცენარე რომლის დაიმეტრი არ აღემატება 12 სმ, მისი მოჭრა და გადარგვა არ საჭიროებს ნებართვას უფლებამოსილი ორგანოდან, სულ 37 ძირი:

1ძირი(№50)- ლეღვი-(Ficus carica)

15ძირი(№7; 8; 9; 10; 11; 19; 22; 24; 27; 28; 29; 30; 31; 32; 38;)- ქლიავი-(Prunus domestica)

13ძირი(№13; 14; 33; 34; 35; 36; 37; 39; 40; 41; 42 43; 59;)- ალუბალი-(Prunus cerasus)

3ძირი(№5; 25; 57)- ტყემალი-(Prúnus cerasiféra)

3ძირი(№21; 23; 26;)- კომში-(Cydonia)

1ძირი(№2)- ბროწეული-(Punica granatum)

1ძირი(№48)- ვაზი-(Vitis)

2. ხილ-კენკროვანი ხე-მცენარე რომლის დაიმეტრი აღემატება 12 სმ და მეტს, მათი მოჭრა და გადარგვა საჭიროებს ნებართვას უფლებამოსილი ორგანოდან, სულ 8 ძირი:

4ძირი(№6; 20; 47; 49;)- ჭერამი-(Prunus armeniaca)

1ძირი(№4;)- ლეღვი-(Ficus carica)

2ძირი(№15; 18;)- ტყემალი-(Prúnus cerasiféra)

1ძირი(№58)-ქლიავი-(Prunus domestica)

3.მაღალი მერქნითი ღირებულების ხე-მცენარეები, სულ 6 ძირი:

4ძირი(№16; 17; 44; 45)- თუთა-(Morus)

2ძირი(№3; 12;)- კაკალი-(Juglans regia)

4.იაფი მერქნითი ღირებულების ხე-მცენარეები, სულ 3 ძირი:

2ძირი(№51; 60)- იფანი- (Fraxinus)

1ძირი(№55)- ამერიკული ნეკერჩხალი-(Acer negundo)

5.იაფი მერქნითი ღირებულების ბუჩქები, სულ 5 ძირი:

2ძირი(№52; 54)- იუკა-(Yucca)

1ძირი(№56)- ვარდი-(Rosa)

1ძირი(№53)- კვიდო-(Lugustrum)

1ძირი(№1)- მარადმწვანე ფშატი-(Eleagnus)

5. ზეხმელი, სულ 1 ძირი:

1ძირი(№56)- ლეღვი-(Ficus carica)

ექსპერტი:  გიორგი ტივაძე.


1


2


3


4


5


6


7


8


9


10


11


12


13


14


15


16


17


18
19


20


21


22


23


24


25


26


27


28


29


30


31


32


33


34


35


36


37


38


39


40


41


42


43


44

46
45
46


45


47


48


49


50


51


52
52


53


54


55


56


57


58


59


60